

„ვამტკიცებ“

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“-ს დირექტორი

მამუკა ჭყონია

16 ივნისი 2020 წ.

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან
(COVID-19)

დაკავშირებული სახელმძღვანელო

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“-სთვის სარჩევი

1. შესავალი
2. რისკების შეფასება
3. კოლეჯში გატარებული პრევენციული ღონისძიებები
 - 3.1 ზოგადი
 - 3.2 თერმოსკრინინგის ჩატარების პროცედურა
 - 3.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით
 - 3.4 ბიბლიოთეკა
 - 3.5 კოლეჯის სამედიცინო კაბინეტი
 - 3.5.1 კოლეჯის სამედიცინო კაბინეტის ინვენტარი
 - 3.5.2 მედიკამენტები
 - 3.5.3 ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები
4. უფლება-მოვალეობები
 - 4.1 სასწავლო დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირი
 - 4.2 მასწავლებელი
 - 4.3 მოსწავლე

4.4 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი

4.5 დამლაგებელი

4.5.1 დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების ჩამონათვალი

4.6 ექთანი

5. პანდემიის პირობებში COVID-19-თან დაკავშირებით საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა

6. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესი

7. დანართები

1. შესავალი

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სახელმძღვანელო ა(ა)იპ მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის შემუშავებულია „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ზოგადი რეკომენდაციები“-ს საფუძველზე.

2. რისკების შეფასება

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“-ს მიზანია, შეუქმნას ორგანიზაციაში დასაქმებულ და სხვა პირებს უსაფრთხო სამუშაო გარემო და მინიმუმამდე დაიყვანოს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რისკები. ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შემუშავებისას განხორციელდა, იმ საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან/და გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა.

კოლეჯი სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს „კონტროლის ღონისძიებების იერარქიით“.



რისკის კონტროლის იერარქიის არჩევსას, არსებული სამუშაო გარემოს სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე პრიორიტეტი ენიჭება კონტროლის იერარქიის პირველ საფეხურს (ელიმინაცია), ხოლო დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, თუ ვერ ხერხდება კონტროლის იერარქიის სრული დაცვა, ვხელმძღვანელობთ დადმავალი მიმართულებით უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე.

კონტროლის ღონისძიების თითოეულ დონეს ახასიათებს უპირატესობები და ნაკლოვანებები მათი განხორციელების სიმარტივის, ეფექტურობის და ხარჯების გათვალისწინებით. ა(ა)იპ მარნეულის სამედიცინო კოლეჯში ხდება კონტროლის ღონისძიებების კომბინაციის გამოყენება თანამშრომლების COVID-19 ვირუსის ზეგავლენისაგან მაქსიმალურად დასაცავად.

კოლეჯში, ვირუსის წინააღმდეგ გატარებულ პრევენციულ ღონისძიებებზე, ყოველდღიურად კონტროლს ახორციელებენ: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, კოლეჯის ადმინისტრაცია და თანამშრომლები.

COVID – 19 - ით დასაქმებულთა ინფიცირების რისკები შეიძლება იყოს: ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო, ან დაბალი. რისკის დონე ნაწილობრივ დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს ტიპზე.

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ დასაქმებულთა ინფიცირების რისკის ღონის მიხედვით მიეკუთვნება საშუალო რისკის შემცველ ორგანიზაციას. ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც დასაქმებულებს მოეთხოვებათ ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები) იმ ადამიანებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ვირუსული ინფექციით დაინფიცირებულ ან დაინფიცირებაზე საეჭვო პაციენტებს.

ვინაიდან კოლეჯი კლასიფიცირებულია როგორც ვირუსული ინფექციის გავრცელების საშუალო რისკის მქონე, დასაქმებულთა სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საჭიროებს თანმიმდევრული და სისტემურად გამართული პრევენციული ღონისძიებების დაცვას, რათა მოხდეს დასაქმებულთა დაინფიცირების რისკის გამორიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა.

3. კოლეჯში გატარებული პრევენციული ღონისძიებები

3.1 ზოგადი

1. კოლეჯში შემუშავებულია პანდემიის პირობებში COVID-19-თან დაკავშირებით საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, რომელიც გამოკრულია საინფორმაცია დაფაზე და რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება კოლეჯში მყოფ ყველა პირს.
2. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია განცხადებები COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ.
3. შენობის ყველა შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერები, სავალდებულო გამოყენების ნიშნის მითითებით.
4. კოლეჯის შესასვლელთან/შესასვლელებთან უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომელთა და კოლეჯში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის თერმოსკრინინგი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით.

7. მოსწავლეთა/პერსონალის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით, კოლეჯში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი.
8. საიზოლაციო მიზნისთვის გამოყოფილ ოთახში არის ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია, დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებები, ხელმისაწვდომია ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი. ყოველი გამოყენების შემდეგ საიზოლაციო ოთახი მუშავდება სველი წესით.
9. საერთო სარგებლობის სივრცეებში, სასწავლო ოთახებში არის სანიტარული კვანძი/საპირფარეშო, სადაც შესაძლებელია ხელის დაბანა წყლით და საპნით. სივრცეები სადაც არ არის ზემოთაღნიშნულის შესაძლებლობა, ასევე კოლეჯის შესასვლელებში, განთავსებულია ხელის დეზინფექციისთვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებები.
10. მასწავლებლები/მოსწავლეები/თანამშრომლები/სხვა პირები უზრუნველყოფილნი არიან ხელის ჰიგიენის გამართული საშუალებებით - ხელსაბანი ნიჟარა წყლით, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები.
11. ყველა შესაბამის სივრცეში გამოკრულია ხელის ჰიგიენის წესების ამსახველი თვალსაჩინოებები.
12. კოლეჯში უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირის შესვლა პირბადით (სავალდებულო არ არის მოსწავლეებისთვის), დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ.
13. კოლეჯში უზრუნველყოფილია პირბადეების რეზერვის არსებობა.
14. სასწავლო ოთახებში, ადმინისტრაციულ სათავსებში და საერთო მოხმარების სივრცეებში განთავსებულია გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი დახურული კონტეინერები (სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილია ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკის ამოღებას და დროულ გატანას, ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით, უზრუნველყოფენ დამლაგებლები.

15. უზრუნველყოფილია სანიტარული წერტილების დასუფთავება ყოველი დასვენების შემდეგ.

16. უზრუნველყოფილია ხშირად შეხებადი ზედაპირების (მოაჯირები, კარის/ფანჯრის სახელურები, ღილაკები...) სანიტარული წესით დამუშავება არანაკლებ დღეში 3-ჯერ.

17. უზრუნველყოფილია ყოველი სასწავლო დღის შემდგომ საერთო გამოყენების სივრცეების სველი წესით დალაგება/სანიტარული დამუშავება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების - „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად, ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დანართი №37.2-ით განსაზღვრული სარეკომენდაციო აღჭურვილობის გამოყენებით.

18. კოლეჯმა უზრუნველყო სასწავლებლის ტერიტორიაზე გასაწევი ეკონომიკური საქმიანობის (კვებითი მომსახურება) განმახორციელებელ პირზე „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნათა გადაცემა და შესრულის მოთხოვნა;

19. სადეზინფექციო საშუალებების მარაგები შენახული/დასაწყობებულია სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში, რომელსაც აქვს ბუნებრივი ვენტილაცია.

სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელია ტექნიკურინ მენეჯერი. აღნიშნული მარაგები ხელმისაწვდომია მხოლოდ ტექნიკური მენეჯერისთვის.

21. აკრძალულია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება კოლეჯში.
22. კოლეჯში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციის მიერ დგინდება და წერილობით ფიქსირდება გაცდენის მიზეზი.
23. როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში უზრუნველყოფილია არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა.
24. ვინაიდან მასწავლებლის მიერ გამოყენებული ჟურნალი ინფექციის გადატანის მაღალი რისკის მატარებელია, კოლეჯში მიმდინარეობს მუშაობა, რომ აღნიშნული ჩანაცვლდეს აღრიცხვის ელექტრონული ფორმით. ჟურნალის ელექტრონული ფორმით ჩანაცვლებამდე ჟურნალით ყოველი სარგებლობის წინ და შემდგომ უზრუნველყოფილია ხელების სანიტაიზერით სავალდებულო წესით დამუშავება.
25. დასვენებებზე ერთდროულად დიდი რაოდენობით მოსწავლეების თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით, მონიტორინგს ახორციელებენ ადმინისტრაციის თანამშრომლები.
26. ვიზიტორების მიღება სასწავლო დაწესებულებაში დაშვებულია მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილია ვიზიტების ზუსტი აღრიცხვა: ვიზიტორის საიდენტიფიკაციო ინფორმაციის (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი), ვიზიტის დანიშნულების, შემოსვლისა და გასვლის დროის დაფიქსირებით.
27. მშობლებთან ან სხვა გარეშე პირებთან კომუნიკაციის დროს უპირატესობა ენიჭება დისტანციურ შეხვედრებს.
28. სასწავლო ოთახში, მაგიდები/მერხები განლაგებულია იმგვარად, რომ მოსწავლეები არ იხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 1 მეტრი.
29. შესვენების ხანგრძლივობა არ აღემატება 10 წუთს;

30. შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილია შეზღუდვა მოსწავლეების მიერ სასწავლო ოთახების ხშირი ცვლის კუთხით.
31. უზრუნველყოფილია ყოველი შესვენების დროს სასწავლო ოთახის განიავება.
32. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ნაკადის (რიგები სასადილოში, შესასვლელში, სველ წერტილებთან, ექიმის კაბინეტში და სხვ.) კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა ნაკლებ 1მ).
33. უზრუნველყოფილია წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მასწავლებლებისთვის, თანამშრომლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის.
34. უზრუნველყოფილია კოლეჯში საკმარისი რაოდენობის წყლის მუდმივი ხელმისაწვდომობა სასმელად, პირადი ჰიგიენისათვის, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისა და რეცხვისათვის.
35. თითოეულ მოსწავლეს მიცემული აქვს რეკომენდაცია საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარების შესახებ.
36. კოლეჯში უზრუნველყოფილია დღის განმავლობაში მოსწავლის მიერ ბოთლის ხარისხიანი სასმელი წყლით შევსების შესაძლებლობა ონკანიდან.

3.2 თერმოსკრინინგის ჩატარების წესი

1. კოლეჯში შესვლამდე ნებისმიერი პირი ვალდებულია გაიაროს თერმოსკრინინგი.
2. ტემპერატურა იზომება მაჯაზე.
3. თერმოსკრინინგის ჩატარებას უზრუნველყოფენ მორიგე დაცვის და კოლეჯის თანამშრომლები.
4. პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს 1 მეტრიან დისტანციას.
5. თერმოსკრინინგისას ცხელების - 37°C ან 37°C - ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში.

6. ვერცხლისწყლის თერმომეტრი მუშავდება სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ.

7. თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, მოსაცდელ სივრცედ განსაზღვრულია კოლეჯის მიმდებარე ტერიტორია. პრევენციული მიზნით, მოსაცდელი სივრცე არ არის განსაზღვრული კოლეჯის შიდა ტერიტორიაზე.

3.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან

დაკავშირებით

1. უზრუნველყოფილია ყველა იმ ზედაპირის დასუფთავება/დეზინფექცია, რომელთანაც შეხება უწევს შშმ მოსწავლესა და მასთან მომუშავე სპეციალისტს/სპეციალისტებს (მოსწავლესთან მუშაობის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი დამხმარე და განმავითარებელი რესურსი, მათ შორის, ეტლი, ყავარჯენი, სათვალე და სხვა).

2. რესურსოთახში, ინტეგრირებულ ოთახსა და ასევე, საჭიროების შესაბამისად, სასწავლო ოთახში, განთავსებულია ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერები, რომლებშიც ჩაფენილია ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი.

3. შშმ მოსწავლესთან მუშაობის დროს სპეციალისტი ატარებს პირბადეს, თუ სამუშაო მოითხოვს 1 მ-ზე ახლოს მიახლოვებას, ამასთან, ხელებით კონტაქტის საჭიროებისას იყენებს ერთჯერად ხელთათმანებს.

4. შშმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტი თავად იცავს და ასევე, ეხმარება შშმ მოსწავლეებს ჰიგიენის წესების დაცვაში.

შშმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტი შეძლებისდაგვარად ეხმარება შშმ

მოსწავლეებს უსაფრთხო დისტანციის დაცვაში.

3.6 ბიბლიოთეკა

კოლეჯის ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების შესაბამისად.

ასევე:

1. წიგნების გამცემი პირი უზრუნველყოფილია ხელთათმანებით.
2. აკრძალულია ჯგუფური მუშაობა ბიბლიოთეკაში.
3. მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეებს შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვა.
4. გამოყენებული, მკითხველისგან დაბრუნებული წიგნი/დოკუმენტი თავსდება კარანტინში 3-5 დღის განმავლობაში.
5. საკარანტინე დოკუმენტების განსათავსებლად გამოყოფილია ცალკე კარადა/მაგიდა/თარო.
5. წინამდებარე ღონისძიებების კონტროლს ბიბლიოთეკაში უწევს ბიბლიოთეკარი.

3.8 კოლეჯის სამედიცინო კაბინეტი

1. უზრუნველყოფილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობით და მედიკამენტებით.
2. საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე კოლეჯის სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს ექიმამდელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.
3. კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული და ხელმისაწვდომია პირველი დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი.

3.8.1 კოლეჯის სამედიცინო კაბინეტის ინვენტარი

- მაგიდა
- ტახტი
- სააფთიაქო კარადა
- სამედიცინო სასწორი

- სიმაღლის საზომი
- ხელის დინამომეტრი
- თერმომეტრი
- ტონომეტრი
- ფონენდოსკოპი
- გამადიდებელი ლუპა
- რეზინის ლახტი
- რეზინის სათბური
- ბუშტი ყინულისათვის
- სამედიცინო მაკრატელი
- პინცეტი
- ნილაბი „პირით-პირში“ სუნთქვისთვის
- საკაც
- მაცივარი.

3.8.2 მედიკამენტები

- არანარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი/არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო/სიცხის დამწვევი საშუალებები (პარაცეტამოლის, იბუპროფენის ტაბლეტები, სიროფი)
- ცენტრალური მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. კეტოროლაკი)
- ანტიჰისტამინური საშუალებები (მაგ., ქლორპირამინის ჰიდროქლორიდის ამპულები და ტაბლეტები, ლორატადინის, დესლორატადინის ტაბლეტები)
- ადგილობრივი მოქმედების ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. დიკლოფენაკი)
- ლებინების საწინააღმდეგო საშუალება და კუჭ-ნაწლავის მოტორიკის სტიმულატორი (დომპერიდონი და სხვ. წვეთების ან სიროფის სახით)
- ანტიბრონქოსპაზმული საშუალებები (სალბუტამოლის ტაბლეტები, სიროფი, საინგალაციო პრეპარატები -ალბუტეროლი და სხვ.)
- სპაზმოლიზური საშუალებები (მაგ., ჰიოსცინ-ნ-ბუტილბრომიდი, დროტავერინი)
- რევიდრატაციული საშუალება, პერორალური ელექტროლიტების წყალში გასახსნელი პაკეტები
- პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორი (მაგ. ომეპრაზოლი)
- დიარეის საწინააღმდეგო საშუალება (მაგ. დიოსმექტიტი)
- ანტაციდები (მაგ.ალუმინიუმის ფოსფატი)

- კორტიკოსტეროიდული საშუალება (დექსამეტაზონი, პრედნიზოლონი ამპულებში)
- მუკოლიზური და ხველის საწინააღმდეგო პრეპარატები (მაგ. ამბროქსოლის სიროფი და ტაბლეტები)
- ადგილობრივი გამოყენების ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები ფარინგიტის და ტონზილიტის დროს
- ვალიდოლი (აბები), ვალერიანი (წვეთები)
- თვალის წვეთები - (მაგ., სულფაცეტამიდუმის 20% და 30 %-იანი ხსნარი)
- ცხვირის წვეთები, ნაზალური სპრეი
- ყურის წვეთები - (მაგ.,ლიდოკაინისა და ფენაზონის ნარევი, ქოლინსალიცილატი და სხვა)

3.8.3 ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები

- თვალის ამოსარეცხი ხსნარი
- სამედიცინო სპირტი (96%-იანი)
- წყალბადის ზეჟანგი (3% ხსნარი)
- ბრილიანტის მწვანე (1%-იანი ან 2%-იანი სპირტხსნარი)
- იოდი (5%-იანი სპირტხსნარი)
- ბეტადინის ხსნარი ჭრილობის დასამუშავებლად
- სხვადასხვა ზომის სტერილური საფენები
- ბაქტერიოციდული პლასტიკები ჭრილობებისთვის
- ჰიგროსკოპული ბამბა
- ბინტები /სამედიცინო გადასახვევი მასალა
- ერთჯერადი საინექციო შპრიცები
- ერთჯერადი შპადელები
- ერთჯერადი ხელთათმანები (არასტერილური).

4. უფლება-მოვალეობები

4.1 კოლეჯში მყოფი ნებისმიერი პირი

ვალდებულია:

1. შენობაში შესვლამდე გაიაროს დეზობარიერი.
2. კოლეჯის ტერიტორიაზე შესვლამდე ჩაიტაროს თერმოსკრინინგი და ხელის ჰიგიენა.

3. გამოყენებული ჰიგიენური საშუალებები განათავსოთ სპეციალურად განთავსებულ დახურულ კონტეინერში.
4. კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამსწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ეკეთოს პირბადე, მათ შორის დასვენებების პერიოდში (გარდა მოსწავლეებისა).
5. მისაღმებისას არ ჩამოართვას ხელი და მოერიდოს სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა).
6. იცოდეს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.
7. გაეცნოს საინფორმაციო დაფაზე და სამუშაო სივრცეებში COVID-19-თან დაკავშირებით გამოკრულ განცხადებებს.
8. დაიცვას ჰიგიენის წესები სამუშაო ადგილზე. საფუძვლიანად დაიბანოს ხელები წყლითა და საპნით სველ წერტილებში გამოკრული ინსტრუქციის შესაბამისად.

4.2 მასწავლებელი

ვალდებულია:

1. საგაკვეთილო პროცესის დროს ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და მოსწავლეებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.
2. გაკვეთილის დასრულებისას გამოაღოს სასწავლო ოთახის ფანჯრები.
3. გაკვეთილის ჩასატარებლად ერთი სასწავლო ოთახიდან მეორეში შესვლისას ჩაიტაროს ხელის ჰიგიენა.
4. სასწავლო რესურსები და ნივთები, რომელთა დეზინფიცირება ან გასუფთავება ძნელია, ამოიღოს ხმარებიდან, მაგალითად, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები.
5. მაქსიმალურად შეიკავოს თავი ჯგუფში მრვალჯერადად გამოსაყენებელი ნივთების ხმარებისგან, აუცილებლობის შემთხვევაში მიუთითოს, რომ ხელები დაიბანონ ან დაიმუშაონ მათ გამოყენებამდე და შემდგომ.

6. ინსტრუმენტების გამოყენების შემდეგ უზრუნველყოს მათი სველი წესით დასუფთავება ან დეზინფექცია.

4.3 მოსწავლე

ვალდებულია:

1. დაიცვას ჰიგიენის წესები.
2. დაიცვას სასწავლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესები.
3. დაიმუშაოს ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა.
4. დაიბანოს ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას.
5. დახველებისა და დაცემინების დროს მიიფაროს სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი.
6. მოერიდოს ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას.
7. სწავლების პერიოდში შეიკრას თმა/მჭიდროდ დაიმაგროს, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.
8. არ გამოიყენოს სხვისი ნივთები;
9. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართოს ექიმს.

4.4 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი

ვალდებულია:

1. ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვას მოსწავლე სასწავლო დაწესებულებაში.
2. ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანოს მოსწავლე სასწავლებლიდან და უზრუნველყოს ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად.

3. სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინოს კოლეჯის ადმინისტრაციას.
4. ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყოს ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად.

4.5 დამლაგებელი

ვალდებულია:

1. საიზოლაციო ოთახი ყოველი გამოყენების შემთხვევაში, დაამუშაოს სველი წესით.
2. გამოყენებული ჰიგიენური საშუალებებისთვის განკუთვნილი დახურული კონტეინერიდან ნარჩენების პარკი ამოიღოს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით და უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა.
3. სანიტარული წერტილები დაასუფთაოს ყოველი დასვენების შემდეგ.
4. სანიტარული წესით დაამუშაოს ხშირად შეხებადი ზედაპირები არანაკლებ დღეში 3-ჯერ.
5. უზრუნველყოს ყველა იმ ზედაპირის დასუფთავება/დეზინფექცია, რომელთანაც შეხება უწევს შშმ მოსწავლესა და მასთან მომუშავე სპეციალისტს/სპეციალისტებს (მოსწავლესთან მუშაობის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი დამხმარე და განმავითარებელი რესურსი, მათ შორის, ეტლი, ყავარჯენი, სათვალე და სხვა).
6. უზრუნველყოს სანიტარიულ კვანძებში სისუფთავის დაცვა. ამისთვის განსაზღვრულია საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა.
7. სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენოს მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები.

8. სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება განახორციელოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ.
9. საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ გარეცხოს და გააშროს.
10. გამოიყენოს შემდეგი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: ხელთათმანები, სახის ფარი, წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას).
11. დასუფთავების დროს თავიდან აიცილოს შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა.
12. დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებლად დაიბანოს ხელები.
13. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები შეინახოს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირებისთვის.
14. უზრუნველყოს დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებებისთვის განკუთვნილი საცავის ვენტილაცია.
15. სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დაამუშაოს სადეზინფექციო ხსნარით და მშრალი ხელსახოცით.

4.5.1 დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების ჩამონათვალი:

1. იატაკის საწმენდი ჯოხი - სველი დამუშავებისათვის.
2. ორგანოფილებიანი სათლი: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე.
3. აქანდაზი და ცოცხი.
4. ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი.
5. ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის.
6. საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი).
7. ჰაერის დეზოდორი.
8. ხის ავეჯის დასამუშავებელი.

9. სარეცხი ფხვნილი (გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ტილოების გასარეცხად).
10. ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი.
11. სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.).
12. უნიტაზის დასამუშავებელი სითხე.
13. შუშის საწმენდი.
14. ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება.
15. დიდი და პატარა ნაგვის პარკები.
16. სადეზინფექციო ხსნარი, დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად, დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ.

4.6 ექთანი

ვალდებულია:

1. ჩართული იყოს კოლეჯის დღის რეჟიმის შედგენაში.
2. ზედამხედველობა გაუწიოს მოსწავლეთა კვების ბლოკის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებას.
3. იმუშაოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის;
4. ზედამხედველობა გაუწიოს კოლეჯში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.
5. მეთვალყურეობა გაუწიოს სასწავლო დაწესებულებაში დასუფთავებასა და ჰიგიენური რეჟიმის უზრუნველყოფას.
6. მონაწილეობა მიიღოს ჰიგიენური განათლების პროგრამებში, ჰიგიენური უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშემწყობ აქტივობებში.

5. პანდემიის პირობებში COVID-19-თან დაკავშირებით საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა.

1. თერმოსკრინინგისას ცხელების - 37°C ან 37°C - ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის

გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში.

2. სიცხის გადამოწმების შემდეგ 37°C ან 37°C-ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:
 - ნებისმიერი პირი არ დაიშვება კოლეჯში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს.
 - მოსწავლე იკეთებს პირბადეს და მისი განთავსება ხდება წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში. აღნიშნულის შემდეგ დაუყოვნებლივ ხდება დაკავშირება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომელიც ვალდებულია მოსწავლის კოლეჯიდან დროულად გაყვანაზე.
 - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში კოლეჯში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კოლეჯის ხელმძღვანელი პირი უკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით.
3. უზრუნველყოფილია, რომ საიზოლაციო ოთახში ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;
4. დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხება შესაბამის ფორმაში - დანართი №1.
5. რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კოლეჯის ხელმძღვანელი ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით.

6. კოლეჯში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება PCR-ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში).
7. მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად.

6. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესი

ზოგადი წესები:

1. მრავალჯერადი იდს-ის წმენდა, რეცხვა უნდა განხორციელდეს იდს-ის მწარმოებლის რეკომენდაციის შესაბამისად.
2. არანაირ ვითარებაში არ უნდა მოხდეს იდს-ის წაღება სახლში გამოყენების, გარეცხვის მიზნით.
3. სახის და თვალის დასაცავად გამოიყენება სახის დამცავი ფარი ან/და დამცავი სათვალე.
4. სახის და თვალის დამცავი საშუალებები უნდა ინახებოდეს სუფთა არეში, გამოყენების არესთან ახლოს. გამოყენების შემდეგ, შენახვამდე, უნდა მოხდეს სახის და თვალის დამცავი საშუალებების დეზინფექცია.
5. აკრძალულია კონტაქტურ ლინზებთან შეხება სამუშაო პროცესში.
6. გამოყენებამდე ერთჯერადი ხელთათმანი უნდა შემოწმდეს მთლიანობაზე.
7. ხელთათმანი უნდა ფარავდეს ქვედა სახელოს და დამცავი ტანსაცმლის მანჟეტს.
8. უშუალოდ ხელთათმანის ჩაცმამდე და ხელთათმანის გახდის შემდეგ აუცილებელია ხელის ჰიგიენის ჩატარება.

9. როცა ხელთათმანი ვიზუალურად დაბინძურებული ან დაზიანებულია, უნდა მოხდეს მისი გახდა და გადაგდება შესაბამის დახურულ კონტეინერში.
10. ხელთათმანების გახდა უნდა მოხდეს ისე, რომ ხელი არ შეეხოს ხელთათმანის დაბინძურებულ ზედაპირს.
11. დაუშვებელია ერთჯერადი ხელთათმანების მრავალჯერადად გამოყენება.
12. რესპირაციული დაცვის მიზნით, გამოიყენება ერთჯერადი სამედიცინო პირბადე.

7. დანართები

დანართი №1

მოსწავლეთა თერმოსკრინინგის აღრიცხვის ბარათი

ჯგუფი, მოსწავლის გვარი და სახელი	თარიღი	- - - - - - - - -	- - - - - - - - -	- - - - - - - - -	- - - - - - - - -	- - - - - - - - -	- - - - - - - - -	- - - - - - - - -
	T	T	T	T	T	T		

დანართი №2

